№ 147 ივლისი 12, ხუთშაბათი 1890 ივლისი 12, ხუთშაბათი № 147


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

„Иверія“ (ежедневно). КУТАИСЪ 2-й гильд. куп. Беро гр. Пурцхванидзе.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.


## ახალი ამბავი

*** იბეჭდება გრ. ჩარკვიანის სტამბაში და ამ მოკლე ხანში გამოვა გასასყიდად მეორე ახალი პოემა ანტონ ფურცელაძისა, სახელად „მარაბდა“. პოემაში აღწერილია მარაბდის ომი, როცა ცხრა ძმანი ხერხეულიძენი ერთად შეაკვდნენ მტერს.

*** გუშინ, დილის ხუთის ნახევარ საათზე, ვორონცოვის ძეგლის მოსახვევში, ურმის მობრუნების დროს, ერთმა გლეხმა ურმის თვალ ქვეშ ფეხი მოაყოლა და ძლიერ დაიშავა. გლეხი საზარლად ტიროდა და კვნესოდა.

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი გუშინ დილით ტფილისში ჩამობრძანდა კოჯრიდგან მეულლითურთ და სასახლეში დილიდგან შუადღემდე სხვადასხვა თხოვნის ქაღალდები მიიღო. მისი უაღმატებულესობა ამ თვეის 15 რუსეთში აპირობს წასვლას რამდენისამე კვირით.

*** ამ თვეის 9 ტფილისში ჩამობრძანდა რუსეთიდგან იმიერ-კასპიის მხრის უფროსად ახლად დანიშნული გენერალ-ადიუტანტი კუროპატკინი და არსენალის ქუჩაზე ბ-ნ ფრეზეს სახლში ჩამოხდა. მისი უაღმატებულესობა გუშინ, ამ თვეის 11, კავკასიის მთავარ-მართებელ გენერალ ადიუტანტ შერემეტიევთან იყო დარბაზად.

*** ამ დღეებში ტფილისში მოელიან სპარსეთის შაჰის სასახლის მინისტრს ჯაჰანგირ-ხანს, რომელიც თეირანიდგან ვენაში მიდის ავსტრია-ვენგრიის წეს-წყობილების შესასწავლად.

*** საყურადღებოდ მიგვაჩნია შევატყობინოთ ჩვენს მკითხველებს, რა შემოსავალი ჰქონია ჩვენს ტფილისს ამ ნახევარ წლის განმავლობაში, უმთავრესი შემოსავალი დასაფასებელი ფასია ქალაქის უძრავ მამულებისა. აქედგან ქალაქის კასსაში შესულა პირველ იანვრიდგან პირველ ივლისამდე 123,816 მან. და 39 კაპ. ჯარიმის ფული, რომელიც გადაუხდევინებიათ მამულის პატრონებისთვის დასაფასებელ ფასის დროზედ შეუტანლობის გამო 7511 მან. 64 კაპ. მილის წყლისა 44,995 მან. და 45 კაპ. ყოროლანოვის მილის წყლისა 13,873 მან. და 13 კაპ. სატიოსი 7,325 მან. და 20 კაპ. ქალაქის ბორნებისა 3,049 მან. და 50 კაპ. ქალაქის საყასბოებისაგან 13,820 მან. და 5 კაპ. ქალაქის მეიდნებისა 6,972 მან. და 95 კაპ. ვერის ხიდისა 3,878 მან. 45 კაპ. და მნაცაკანოვის ხიდისაგან 2,235 მან. და 76 კაპ. ცხენების გადასახადი 20,906 მან. ვაჭრობის მოწმობებისა 48,012 მ. და 48 კაპ. ქალაქის სამკურნალოსი 2,196 მან. და 14 კაპ. დედათა საავადმყოფოსი 158 მან. და 24 კაპ. უნივერსიტეტისათვის გადადებული ფულის სარგებელი 4,655 მან. ბუხრების გასაწმენდი 2,805 მან. და 20 კაპ. ამ ექვს თთვეში ქალაქს სულ აულია 366,925 მან. და 15 კაპ. და ამავე დროს ხარჯი ჰქონია 351,809 მან. და 5 კაპ.

*** ჩვენ შევიტყევთ, რომ ზ. ქ. აგროვებს „ცისკრის რედაქტორის, ბ-ნ ივანე კერესელიძეს, ნაწერებს და უნდა დაბეჭდოს.

*** კომისია იყო შემდგარი, რომელსაც უნდა განეხილა კავკასიის უმთავრესს ქედზე რკინის გზის გაყვანის საქმე როკის უღელტეხილისაკენ. ამ კომისიას უკვე დაუმთავრებია თავისი მუშაობა, შეუკრებია საჭირო ცნობები და გზის გასაყვანი ადგილები დაუთვალიერებია. კომისიის უფროსს ბ-ნს რიძევსკის 15 ივლის მოელიან ტფილისში.

*** ამ დღეებში ქუთაისის მცხოვრებელმა ბ-ნმა ბერიძემ ქვის ნიმუშები ჩამოიტანა ტფილისში. ეს ნიმუშები ჰსურს ქალაქის გამგეობას წარუდგინოს და წინადადება მისცეს, ამ ქვითა სცადეთ ქუჩების მოფენაო. ბერიძის აზრით, ეს ქვა უფრო იაფად უნდა დაუჯდეს ქალაქსა, ვიდრე ისა, რომელსაც ეხლა ხმარობენ ქუჩების მოსაფენადაო.

*** ფოთი: ამ თთვეის რვას, საღამოს შვიდს საათზედ, უცაბედად დაირჩო ბანაობის დროს რიონში საწყალი, ცოლ-შვილიანი, დიდის ხნის ნამსახური კაცი ქალაქის ქუჩების მეთვალყურე, სახელად გიორგი. უბედური გადამხტარიყო თუ არა წყალში, შუბლი დაერტყა წყალში ჩასმულის ბოძისათვის, გული შესწუხებოდა და დამრჩვალიყო. თითქმის ყოველს წელს აუცილებელია ამ ნაირი უბედურება; ურიგო არ იქნებოდა, რომ რაიმე ღონის-ძიება მიელო ქალაქს ასეთის უბედურობის ასაცილებლად.

*** ამ დღეებში გრაკალისა და მახლობელ სოფლების მცხოვრებლებს, სამუშაოდ რომ წასულან მინდორში, რკინის გზის აქეთ-იქიდგან ორმოცამდე ქუდი უნახავთ გაფანტულ-გამოფანტული, დაუწყვიათ ძებნა, იქნება პატრონებიც აქ ახლო სადმე იყვნენო, მაგრამ ვერავინ უპოვნიათ. რაკი ვერაფერი გაუგიათ, ასე ჰგონებიათ, უბედურობა მომხდარა რამეო, წაუღიათ ქუდები და რკინის გზის სადგურის უფროსთან მიუტანიათ. უწერილიათ, უკითხიათ და აღმოჩენილა, რომ ის ქუდები უბილეთო პასაჟირებისა ყოფილა: კონდუქტორებს რომ შეუტყვიათ, კონტროლიორი მოეიდაო, უბილეთოები ვაგონების ბანებზე აურეკიათ, და, რადგანაც დიდი ქარი ყოფილა, ბევრს მათგანს ქუდი გადავარდნია. („ახ. მიმ.“)

*** „Нов. Вр.“-ში სწერია: «მკითხველებმა უკვე იციან, რომ უმაღლესად დამტკიცებულია ბ-ნი ნ. ა. ნოვოსელსკის სააქციონერო ამხანაგობა, რომელსაც ორი მილლიონი თანხა აქვს და ტყიბულის ქვის ნახშირის წარმოებას უნდა შეუდგეს. „Одесск. Листокъ“-ი იუწყება, რომ ფრანგების ვაჭართა ამხანაგობას მოლაპარაკება უკვე დაუწყია ნოვოსელსკითან, ტყიბულის მადნების წარმოება ჩვენ დაგვითმეთო. ტყიბულში აუარებელი სიმდიდრეა ქვის ნახშირისა. ინჟინერმა ფონ-კოშკულმა, რომელმაც ტყიბულის მადნები გასინჯა და გამოიკვლია, გამოიანგარიშა, რომ 149 წელიწადს ძლივს გამოილევა ტყიბულის ქვის-ნახშირიო, წელიწადში რომ 15 მილიონი ფუთი მოითხაროსო. გამოჩენილი სწავლული გეოლოგი ფოხტი ამბობს, რომ ტყიბულის ქვა-ნახშირის მადანი ერთი უდიდესი და უმდიდრესი მადანია დედამიწის ზურგზეო. ტყიბულის მადანს ის უპირატესობა აქვს, რომ ქვა-ნახშირი სულ მიწის პირად არის და არა ღრმად მიწაში, როგორც სხვა მადნებშიო. ამის გამო ქვა-ნახშირის მოთხრა და წარმოება ტყიბულში ძლიერ ადვილი და სახეირხოაო. ტყიბულის მადნების აწინდელი მოწყობილობა ისეთი ხერხიანი და სამაგალითოა, რომ საზღვარ-გარედაც არ მოიპოვება ასე კარგად მოწყობილი მადანი. ტყიბულში გარდა იმისა, რომ რკინის-გზის შტოა გაპოყვანილი, კიდევ მრავალი სხვა საქმის გამაადვილებელი მანქანა და იარალიცაა ხმარებაში, ასე რომ ფუთი ნახშირი ადგილობრივ 3 კაპეიკზე მეტი არა ჯდება. ადესამდის გზის ხარჯი ფუთზე 7 კაპეიკია. მაშასადამე, ადესაში ტყიბულის ქვის-ნახშირი ღირს 10 კაპ., მაშინ როდესაც საზღვარ-გარეთიდგან მოტანილი ქვა-ნახშირი 20—26 კაპ. ნაკლებ არ იშოვება ფუთი. ეს ისეთი გარემოებაა, რომ შავის ზღვის მიდამო ქალაქებში ტყიბულის ქვა-ნახშირს მეტოქეობას სრულიად ვერ გაუწევს საზღვარ-გარეთიდგან მოტანილი ქვა-ნახშირი.

*** ივლისის 10, ნაშუადღევის ოთხს საათზე, არტილერიის მოედანზე პატარა ბიჭმა გასილ კოლუბოვმა გაუფრთხილებლობით ცეცხლი წაუკიდა ტფილისის მცხოვრებელის არტემ ქართაშვილისა და მუხრანის მცხოვრებელის არტემ აგრისოვის თივის ძირს. ცეცხლი გააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

*** მეცხრე ნაწილის პოლიციამ შეიპყრო თ. ალექსანდრე არგუთინსკი-დოლგორუკოვი და დუშეთის მაზრის სოფ. ლოჟის ხევის მცხოვრებელი დავით ხეტეშვილი, რომელთაც ოც-და-ათი მანათი მოსტაცეს რკინის გზის

## ფელეტონი

### წერილი მეგობართან

ძმაო ექვთიმე!

ჩვენს ახალგაზრდობას ბევრი ნაკლი აქვს და ძალიან გულითაც რომ გვეწადოს დავადაროთ ჩვენები დასავლეთ ევროპის, ან რუსეთის ახალგაზრდობას, ვერ გავბედავთ, იმიტომ-რომ იქ მეტს უნარს იჩენს ახალგაზრდობა თავის ქვეყნის სამსახურად, იქაურებს საქვეყნო საქმისათვის ძლიერად უცემთ გული; იქ საქვეყნო საქმე თავის პირად, საკუთარ საქმედ მიაჩნიათ. იქ რად არის ასე და ჩვენში-კი არა? იქნება ისინი ნიჭიერნი არიან ჩვენზე? იქნება იმათ უკეთესი ტვინი აქვთ თავში და უკეთესი სისხლი უდგათ ძარღვებში? არა, თვითონ ევროპელნი ამბობენ ქართველებზე, რომ ჩვენ სხვებს არ ჩამოვურჩებით არც ნიჭითა და არც სიფხიზლით. ყველა იმითი აფასებს თავის-თავს და უცხო ერებიც იმის მიხედვით აღგვენ განაჩენს ერის სიავ-სიკეთეზე—ჰყოლია ერს ისტორიული ადამიანები, შესანიშნავნი პოლიტიკის ან მწერლობის ასპარეზზე, თუ არაო. ამიტომ თუ სხვა დაგვაკვეხებს გმირებს, შესანიშნავს მწერლებს, თამამად ჩვენც შეგვეძლიან ვახსენოთ სახელები ჩვენის სახელოვანის კაცებისა. თუ იმას იტყვიან, სხვის ცხოვრებას ჩვენზე გავლენა ჰქონიაო, თვით ევროპის ცხოვრება და მეცნიერება საბერძნეთისა და რომის მეცნიერების გავლენის ქვეშ აღორძინდა. საბერძნეთის ფილოსოფოსების მიერ აღძრულნი საკითხავნი დღევანდელს ფილოსოფიასაც თავის სამტერევად გაჰხდომია. რომის კანონ-მდებლობის jus დღევანდელს იურისპრუდენციას თილისმასავით ზედ ზურგზე დაჰკერებია, მაგრამ ამის გამო თვით-მყოფობას, თვით-არსებობას არავინ არ უარ-ჰყოფს. მართალია, დღეს ჩვენ კაცები აღარა გვყავს და არა გვყავს იმიტომ, რომ საკუთარი ცხოვრებაც აღარა გვაქვს, საკუთარი ინტერესი ჩვენის ქვეყნისა ჩვენ აღარ გვაბარია, საკუთარის აღზრდის წესით აღარ ვიზრდებით. ევროპაში თვით ცხოვრების ვითარება, თვით საზოგადოება უწყობს ხელს, რომ კაცები გამოჩნდნენ, კაცები აღიზარდნენ; იქ ყველა კაცის ღირსება ძვირად ფასობს და ყველასათვის სასიხარულო და სასიქადულოა. სიყრმიდგანვე ისეთს საზოგადოებაში იზრდება ყრმა, ისეთი რამ ესმის, სკოლას თუნდ ნუ ვახსენებთ, რომ მისი გონებრივი და ზნეობრივი ნიჭი ვითარდება, ღონეს იძენს, ძლიერდება.

უმთავრესი მიზეზი-კი იმათის სიკეთისა ეროვნული აღზრდაა; საკუთარს ისტორიას სიყრმიდამვე სწავლობენ, საკუთარის ქვეყნის ინტერესი სიყრმიდგანვე აწუხებს; საკუთარის მამულიშვილების კეთილთა საქმეთა სიყრმიდგანვე გულში ინერგავენ და თავის ქვეყნის სიყვარულს გულში დღითი-დღე იზრდიან. ეს ბავშვობაში აღბეჭდილი კეთილი გრძნობა, დიდობაში აზრად გამონასკული, ძალას იჩენს, მოქმედობს. ჩვენში-კი ნასწავლი, განათლებული კაცი, როცა პირს სიბერისაკენ იზამს, მაშინ მოვა ხოლმე გონს, მაშინ-ღა მოფიქრდება და გაოცებული ეკითხება თავის თავს: სად ვიყავი აქამდის? რას ვაკეთებდი, რასა ვგრძნობდი და ვფიქრობდიო? მერე დაიწყებს აქეთ-იქით ხელების პოტინს, მერე ცდილობს არგოს რამ თავის ქვეყანას, მაგრამ დაგვიანებული გამოდის ამისთანა ცდა: ცუდ-უბრალოზედ მოღლილის ჯანითა და ტვინით იმდენს ველარ არგებს, რახაკვირველია, თავის ქვეყანას, რამდენიც შეეძლო ერგო, თუკი იმ თავითვე ხეირიანს გზას დასდგომოდა, თვით ბუნებისაგან დანიშნულს გზას მიჰყოლოდა, რომელზედაც უნდა იაროს ყველა სამშობლო ისტორიის, მწერლობისა და, საზოგადოდ, სამშობლოს მოსიყვარულე კაცმა. ამას ვამბობ მცირე ნაწილზე, თორემ უმრავლესობა ხომ ისე იღუპება, რომ არცა-რა ახალგაზრდობაში ჰხსომებია და სტკივებია, არც არა სიბერეში აჯავრებს და არც არაფერი სიკვდილის დღეს აგონდება. ასეთი გზა-კვალის არევა ახალგაზრდობისა აღზრდის ბრალია უფრო, ვიდრე სხვისა რისამე. ყველა განვითარებულს კაცს შეგნებული აქვს, რომ ახალ-თაობის წესიერად აღზრდისათვის საჭიროა დედა-ენაზე სწავლება, დრომდის მაინც აუცილებლად, სამშობლო ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა. სამშობლო ისტორიის შესწავლას არა მარტო ეროვნულის გრძნობის განმტკიცებაზე აქვს ძალა, არამედ თვით ადამიანის ხასიათის გაუკეთესებაზედაც. ყველა ერს, რომელსაც მართლა ერობა ეთქმის, აქვს ისტორია, აქვს წარსული, აქვს საკუთარი ისტორიული იდეალი, ანუ ისტორიული ანდერძი, ამ ორში, რომელიც გინდა დაარქვი, სულ ერთია,—ორივე ცალ-ცალკე კარგად აღნიშნავს თვით საგანს. წარსულის დროის სიკეთე, ძველობა თუ გმირობა აღფრთოვანებს, ასულდგმულებს აწმყო დროის ერს, ამხნევებს და კარგის მერმისის მოპოვების წადილს უჩენს გულში. ცალიერი სიტყვა როდია, ტყუილად არ ამბობენ ჰკვიანნი: დალუპულია ის ერი, რომელსაც ისტორია არა აქვს, რომელსაც ხატად წინ არ უდგას საკუთარის ისტორიის ანდერძიო. ეს ხომ მართალზე მართალია, მაგრამ ის-კი არა მჯერა რომ იტყვიან, ერი უნდა დაბერდეს და მოკვდესო. ერის სიყმაწვილისა და სიჭაბუკის ხანა, ესთქვათ, რაც არის, არის, ეს რა უბედურებაა, ამას რად ამბობენ?! განა ერი კერძო ადამიანთან დასადარებია? ადამიანის ერთხელ დახშული სიცოცხლე აღარ გამეორდება: იმ ივანეს, რომელიც მოკვდა

მეისრეს ივანე ბარიშვილს. დამნაშავენი გამომძიებელმა საპყრობილეში ჩაასმევინა.

*** პოლიციის მეოთხე ნაწილში, ამაღლების ქუჩაზე, 9 ივლისს ტფილისის მოქალაქის სერგეი გირგიძოვი, 9 წლისა, გაუფრთხილებლობისა გამო, სახლის მეორე სართულიდგან გადმოვარდა. გადმოვარდნილს მარცხენა მხარი დაეჩეჩქვა და თავიც მძიმედ დაუშავდა. დაშავებულს შემწეობა აღმოუჩინეს.

*** ქალაქის ექიმმა მრევლიშვილმა, პოლიციის თანდასწრებით, დაათვალიერა მერვე პოლიციის ნაწილი და გადააყრევინა ათ ფუთამდე გაფუჭებული ხილი.

# დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. კნოლე (ზემო ქართლი, ფრონის ხეობა), 4 მკათათვეს. ათის წლის წინად ამ ხეობას ამშვენებდა ძვირფასი მასალის ტყე; აქედამ მომეტებულად უფრო მუხის ხე გამოდიოდა. ტყე ეკუთვნის ფალავანდიშვილებს. აწ, სამწუხაროდ, მეპატრონეების დაუდევრობით, მომეტებული ნაწილი ამ ტყისა გაჩეხილია და მხოლოდ აქა-იქ ღელეებში-ღა იხილავთ ხეირიან მასალის ხე-ტყეს.

ზოგიერთი მეპატრონე დიდი ხანია სცდილობს და სცდილობს დღესაც დააარსოს ფალავანდიშვილებში ტყის დამცველი კანტორა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს აზრი სისრულეში ვერ მოიყვანეს დღევანდლამდის, რადგან მომეტებული ნაწილი მეპატრონეებისა დღევანდელს კვერცხს უფრო რჩეულობს, ვიდრე ხვალინდელ ქათამსა და რამდენისამე აბაზის გულისათვის აოხრებინებდნენ ხიზან ოსებს ამ ძვირფასს ტყეს. წელს იანვრიდამ თ. ფალავანდიშვილებმა დააარსეს, მომრიგებელ შუა-კაცის თ. გიორგი ციციშვილის შემწეობით, ტყის დამცველი კანტორა სწორედ იმ წესით, როგორიც დიდი ხანია არსებობს საციციანოში. კანტორის წესდების შინაარსის მოთხრობა საჭირო არ არის, ხოლო ვისაც უნდა ამ წესდების გაცნობა, შეუძლიან თითონ კანტორას მიჰმართოს. თ. ფალავანდიშვილებმა მოიყვანეს ნოტარიუსი, დასწერეს ურთიერთ შორის პირობა, რომ არც ერთს ფალავანდიშვილს ნება არ ჰქონდეს ტყე გასცეს კანტორის დაუკითხავად და ვინც ამ პირობას არ შეასრულებს, უნდა ორასი თუმანი გარდაიხადოს და პირობაც თავის ძალაში დარჩეს. სულ ყველამ თითქმის დიდის სიამოვნებით მოაწერეს ხელი ამ პირობაზედ, გარდა ოთხიოდესი. სამწუხარო ის არის, რომ ამ ოთხიოდეთა შორის ერთი განათლებული მოხუციც ურევია და წინამძღოლად ამ ოთხიოდეთა ამ მოხუცს ასახელებენ. ამისთანა მთელის საგვარეულოსათვის ფრიად სასარგებლო საქმეში განა შესაძლოა კაცი უკან დადგეს, თუ აქ სხვა რამ მიზეზი არა არის-რა! მიხვედრით-კი არ მიმხვდარვართ, რა მიზეზი უნდა იყოს. იმედია, განზე გამდგარი ფალავანდიშვილები თავიანთ წინამძღოლითურთ მიემხრობიან ტყის დამცველ კანტორის დამაარსებლებს და მათთან ერთად გასწევენ უღელს თავიანთ საგვარეულო სასარგებლო საქმეში, მეტადრე თუ არ უნდათ, რომ მათი სახელი საწყევლად გაუხდეთ მათთავე ჩამომავალსა და შვილიშვილსა. ექვსი თვეა არის, რაც ტყის დამცველი კანტორა არსებობს, და საქმეც ძლიერ კარგად მიჰყავთ მმართველებს, თუმცა ხელ-შემშლელებიც, როგორც ზემოდ ვსთქვი, არიან. წარსულ წელიწადს, როდესაც კანტორა არ არსებობდა, მე ჩემის თვალით მხახველი ვარ, რომ „საფალავანდიშვილო“ ტყიდგან ყოველ შაბათ-კვირა ას ურემზედ მეტი, დატვირთული მუხის ხის მასალით, გაემგზავრებოდა ხოლმე ხაშურისა, ცოლლაურისა და ცხინვალისაკენ, სადაც თითო მუხის მორს, რომლის ფასიც სულ უკანასკნელი ერთი თუმანია, ჰყიდდნენ ხოლმე ერთ ანუ ორ მანეთად. მზიდველები, რასაკვირველია, ფალავანდიანთ ხიზანი ოსები იყვნენ და მყიდველები ჩარჩები, რომლებიც მას უკან ერთი ხუთად ასაღებდნენ რკინის გზის მასალათა საწყობებში. დღეს-კი, კანტორის წყალობით, ისეა ტყე გამაგრებული, რომ ერთ ურემსაც ვერ ნახავთ გატანილს გასასყიდად ტყიდგან.

თავიანთ შენობებისათვის მასალის გამოტანა არც ერთს ფალავანდიშვილს არ აღეკრძალვის. მხოლოდ ნედლის ხის მოჭრის ნება არც ფალავანდიშვილებს შეუძლიანთ პირობის ძალით. დიდის მადლობის ღირსნი არიან თავიანთ გვარეულობისაგან ტყის დამცველ კანტორის მმართველნი, თავადნი: გიორგი, ირაკლი, რევაზი, ბეჟანი და ზაქარია ფალავანდიშვილები, რომ ესე მხნედ მოეკიდნენ ამ საქმეს, მეტადრე გამგებელი ტყისა თ. ზ. ფალავანდიშვილი და ყარაულების ზედამხედველი თ. გ. ფალავანდიშვილი. თუ ათ წლამდის ესე უბეჯითეს ამ საქმეს, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ტყე ისევ ისე გახდება, როგორც მინახავს ამ ათი-თხუთმეტის წლის წინად.

დასასრულ მინდა რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ამ ხეობის სწავლა-განათლების შესახებ. ამ ხეობაში მცხოვრებელნი გლეხნი ბევრად შეძლებულნი არიან, ვიდრე ქვემო-ქართლის გლეხნი, მაგრამ სამწუხაროდ ამ ხეობაზედ არც ერთი სასოფლო სკოლა არ არსებობს. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი ის არის, რომ არა ჰყავთ ისეთი კაცი გლეხთ, რომელმაც აუხსნას და ჩააგონოს, რომ ჩვენის ერის კეთილ-დღეობა და ბედნიერება სწავლა განათლებაზედ არის დამყარებული. ამ ხეობაზედ მღვდლები თითქმის ყველანი სემინარიაში კურს შესრულებულნი არიან. ნუ თუ ამათთვის სამძიმო იქნება აუხსნან თავიანთ მრევლს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან სასოფლო სკოლას. გლეხთათვის სკოლების დამართვა ამ ხეობაზედ სამძიმო არ იქნება, რადგან სოფელი სოფელზედ გადაბმულია, და რამდენსამე სოფელს შეუძლიან ერთი სკოლა იქონიოს, მაგალითად: სოფელ კლდეს, ავლევს, ცეროვნისს და თამარაშენს ერთი სკოლა დაარსდება. სოფელ აბისს, ფცას და ბერძენაულს—მეორე. ეს ზემო ხსენებული სოფლები სულ ერთი ერთმანეთზედ გადაბმული არის და მათ შორის ნახევარ ვერსის მანძილიც არ იქნება. დარწმუნებული ვარ, ამ სოფლების მემამულეები დიდის სიამოვნებით დაუთმობენ უფასოდ ადგილს და ყოველს მასალას სკოლისათვის.

ადმინისტრაციის განკარგულებით ამ ხეობის მცხოვრებელნი მალე შეუდგებიან ქვა-ფენილ, ანუ ხრეშ-დაყრილ გზის კეთებას. გზა გაჰყავთ სოფელ ქვენატკოციდამ, სადაც რკინის გზის მმართველობა სადგურის გაკეთებას აპირობს, სოფელ თიღვამდის. სასურველი იქნება, ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს ამ ხეობაზედ ასეთს დიდს უსკოლობასაც.

განი—ლახვარი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ევროპა პოლიტიკამ შეიარაღებისამ დიდად შეაწუხა და შეავიწროვა. ვაჭრობა და მრეწველობა შეყენებულია, მუშები დიდს სიღარიბეში არიან და ამასობაში-კი მაინც გარდასახადი გარდასახადს ემატება, რადგან დიდ-ძალი ფული სჭირდება ყოველს სახელმწიფოს ჯარის შესაიარაღებლადა და სიმაგრეთა ასაგებად. ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, დიდხანს ვერ გასტანს, ან ავად უნდა გადაწყდეს საქმე, ან კარგად. სახელმწიფოთა ბიუჯეტის $^1/_3$ და ხანდახან $^1/_2$-კი სამხედრო ხარჯს უნდება. დიდი ზარალი მოაქვს ამ შეიარაღებას ევროპისათვის, და ამ ზარალს უფრო ნათლად დაგვანახვებს სტატისტიკური ცნობები, რომელიც ამას წინად, გერმანიის სამხედრო კანონ-პროექტის განხილვის დროს, სამხედრო მინისტრის თანაშემწე გედეს დაუსახელებია. ამის სიტყვით,

რუსეთს ბრძოლის ველზე 2.579,000 კაცის გამოყვანა შეუძლიან, საფრანგეთს—3.266,000, გერმანიას—2.900,000, ავსტრიას—1.150,000, იტალიას—1.090,000. საერთოდ-კი სამთა კავშირს შეიარაღებული ჰყავს 5.140,000 კაცი, ხოლო საფრანგეთსა და რუსეთს-კი—5.805,000 კაცი ამ ჟამად ევროპის დიდთა სახელმწიფოთა შემოსავალი უდრის $15^1/_2$ მილიარდ ფრანკს. ამ ფულიდგან 4 მილიარდი ჯარის შენახვასა და მოვლას უნდება. 1866 წ. ევროპის სახელმწიფოთ ვალი ჰქონდათ 66 მილიარდი ფრ. და $2^1/_2$ მილიარდიც ამ ფულის სარგებელი. 1887 წელსკი, ესე იგი 20 წლის შემდეგ, თავნმა ვალმა 117 მილიარდამდე აიწია, სარგებელმა 5 მილიარდამდე.

ეს საშინელი ციფირები-კი ევროპის სახელმწიფოთა მთავრობას თითქოს არ აწუხებს და არ აღონებს. გერმანიის სამხედრო მინისტრმა დაუფარავადა სთქვა, ბოლოს და ბოლოს საქმე ისე გამწვავდება, რომ გერმანია სულ ერთიანად ბრძოლის ველად გადაიქცევაო. რითი უნდა მოეღოს ბოლო ასეთს მდგომარეობასაო, იკითხავთ. ორი გზა აქვს ევროპას თავის ხსნისა, ან იარაღი აიყაროს, და ან ბრძოლა დაიწყოს. ასეთს მდგომარეობას ზოგნი ისევ ომს ამჯობინებენ. თუ იარაღის აყრაზედ მიდგა საქმე, რასაკვირველია, ეს საგანი საერთო მოლაპარაკებითა და მორიგებით უნდა გადასწყდეს. ასე დაბოლოვებას საქმისას, დროებით მაინც, ბევრი გაზეთი არჩევს და ამჯობინებს. ვნახოთ, თვით შეიარაღებულნი რას არჩევენ?

**

ბ-ნი ბოროზდინი „Русскія Вѣдомости“-ში 1863 წ. ლეკთა აჯანყებას მოუთხრობს მკითხველებს და ამ მოთხრობაში აწერილი აქვს რამდენიმე პატივსაცემი და თვალსაჩინო ქართველი თავადი და აზნაურიც. მათ შორის განსაკუთრებით აღნიშნულია თ. დავით ჭავჭავაძე, წინანდალის მოურავი. აი რას ამბობს ამის შესახებ ბოროზდინი:

წინანდალის სახლის კარები უოველთვის ღია იყო სტუმართათვის, ამ სახლს უსტუმროდ ადამიანი ძნელად წარმოიდგენდა, იგი იყო ის ადგილი, სადაც უელა წარჩინებული ქართველი და რუსი იყრიდა თავს, სტუმართ-მოყვარე მასპინძელი ყველასა ჰხიბლავდა. იმას გარდა, რომ სურსათს არა ჰზოგულობდა ბ-ნი დავითი და ღვინოც საკუთარი ჰქონდა, ფულად 30,000 მან. შემოსდიოდა, და ეს ფული საკმარისი იყო, რომ სტუმრებსაც ღირსეულად გასძღოლოდა და თავისი 5 შვილიც მშვენიერად აღეზარდა, მაგრამ 1854 წელს შამილი თავს დაეცა კახეთს და თ. დავითიც გააუბედურა. დავითის ოჯახი ტყვედ წაიყვანა შამილმა და რვა თვე იქა ჰყავდა, ხოლო იმისი სახლი-კი სულ ერთიანად აიკლეს და გადასწვეს კიდეც.

აღურიცხველი სიმდიდრე დაჰკარგა

---

და დაემარხეთ, ვეღარა ვნახავთ ცოცხალს, მაგრამ იმ ივანესთანა კაცი სხვა ჩნდება და იმასვე აკეთებს, რასაც ივანე აკეთებდა. რასა ზარალობს ერი? არაფერს. ცალკე კაცის სიცოცხლე მოკლეა, რაც უნდა ეცადოს და გაახანგრძლივოს, ას წელს ხომ ვეღარ გადააბიჯებს, მაგრამ ერის სიცოცხლე-კი დაუსრულებელი სიცოცხლეა, თუ-კი კარგს ვითარებაშია, თუ-კი მოვლა აქვს, თუ კი ერის მეთაურნი სცდილობენ აიცდინონ მომაკვდინებელი სენი და ჭირი. ღირსეულის წარსულის ერი თუ კვდება, უეჭველად აწმყოს უვარგისობისა გამო უნდა მოკვდეს, უნდა მოუვლელობა და დაუდევრობა გახდეს იმის სიკვდილის მიზეზი... უბრალო ადამიანს ვერ აცოცხლებ, რაც უნდა ძალიან ეცადო. ამიტომ ერს, თუ თავისი ერობა უყვარს და უფრთხილდება, როგორც ფიზიკურად არ მოკვდება, ისე კიდევ სხვაფრივ. უნდა-კი იცოდეს, იცავდეს და ახსოვდეს პირობანი დაუსრულებლის სიცოცხლისა. ჭეშმარიტებაა, თუ შეინახა და დაიცვ-დაიფარა ეს პირობანი, მუდამ უკვდავ-უბერებელ ჰაბუკად იქნება, მოხუცის გამოცდილებით აღჭურვილი.

დიახ, წარსული ცხოვრება არის ფაქტი და ამასთანავე მიზეზი, რომელსაც მოუტანია ნაყოფი აწმყოსათვის. შეაერთე მთელის დედამიწის მეფენი, იმათის ჯარ-ზარბაზნებით, მეცნიერებით და ათასის მანქანებით შეიარაღებულნი, იოტის ოდენს ვეღარაფერს გაასწორებენ იმ ფაქტსა და მიზეზში. ეს ფაქტი ამასთან შეიცავს თავის არსებაში ზნეობრივს, მიმზიდველს ძალას, როგორც განყენებული, დიადი ქმნილება, როგორც სალოცავი ხატი. განადგურებული, ერთს დროს ძლიერი ოჯახი მისტირის ძველს თავის სიმდიდრეს, დაცემული ერი წარსულს სიდიადეს, ქველობას, მხნეობას, კაცურ-კაცობას. როგორც დაცემულის ოჯახის წევრნი, აგრეთვე შვილნი დაჩაგრულის მამულისა, მოიგონებენ რა იმ ძველს სიკარგეს, თუ ნიშან-წყალი აქვთ კაცობისა და თავი უყვართ, ეცდებიან იმ ზომამდევე აიყვანონ პირველთ ოჯახი, ხოლო მეორეებმა ერი და არა დავარდნილს ცხენსავით ჩამოჰყარონ ყურები და დაკრიჭონ კბილები. რომელს ერს უყვარს ისე აწმყო და მომავალი, როგორც წარსული? ვერც ერთს ვერ დამისახელებ. მიჩვენე ისეთი კაცი, რომ გამარჯვებამ იმის თანამემამულეთა ჯარისამ ჟრჟოლა არ მოჰგვაროს ტანში? რომელს იტალიელს არ გადაეფინება სიამაყისა და სიხარულის ალი, როცა გარიბალდისა და მაძინის სახელს მოაგონებენ?? რომელს ქართველს არ აღეგზნება, არ აუდუღდება გული, როცა ვახტანგის, დავით აღმაშენებლისა და დიდის თამარის საქმეებს მოაგონებენ? სწორედ ეს დიდებულნი კაცნი არიან მასულდგმულებელნი ყველა ერისა, სამარიდამაც-კი ისევ სამსახურს უწევენ თავის ქვეყანას; იმათი კეთილი საქმე ჩვენთვის მისაბაძავი მაგალითია. სწორედ ეს დიდებულნი კაცნი, როგორც სიცოცხლის, ისე სიკვდილის დროს, დედა-ბოძად უდგანან ერსა და იმის თვით-არსებობის იდეას. ჰკვიანმა კაცმა იცოდა, კარგად შეგნებული ჰქონდა, რა მნიშვნელობაცა აქვს სახელს, კეთილის საქმისათვის თავის გაწირვას, სიკვდილს და იმიტომა სთქვა:

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანიო.

რაც ზევითა ვსთქვი, ეხლაც იმასვე ვამბობ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა დაქვეითებულია და ამისი მიზეზი ისაა, რომ ჩვენები მოკლებულნი არიან ეროვნულს აღზრდას, არ არიან სიყრმიდგანვე ამ ისტორიულს ანდერძზე აღზრდილნი; იმათ გულსა და გონებას არ უვარჯიშნია საკუთარის ისტორიის ანდერძისა, მის მოღვაწეთა საქმეების შეგნება-შესწავლაში... ეს თანდაყოლილი გრძნობა ბოლოს დროს თუმცა იღვიძებს იმათ გულში, მაგრამ რადგან იგი მოვლილი, აღზრდილი არ არის, არ არის ნაკვები, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, და ნავარჯიშები, ამიტომ სუსტი და უძლური გამოდის. პირდაპირ თქმა იყოს, მიუფერებლად, უკეკლაკოდ, კარგა ვიფიქროთ, თუ ასე არ არის. რამდენი ათასებს ჩვენის ქვეყნის შვილი მაღალს სასწავლებელს და, აბა, მითხარით, დამისახელეთ, რამდენს დაეტყო ცოტად მაინც ეს საქვეყნო, ეროვნული გრძნობა? ორს ვერ მიჩვენებთ და ლაპარაკი უმრავლესობა ხომ სულ ტყუილად იღუპება, იქსაქსება, ფუქსავატდება, წვრილმანდება, ჩხირ-კედლობაში ჰლევს თავის სიცოცხლეს. ამავე დროს ვხედავთ სოფლად აღზრდილებს, რომელთაც ქართულის წიგნების მეტი არაფერი უკითხავთ და ამათ უფრო მეტი გონებისა და გულის სიხალე ეტყობათ მეტად ეტყობათ ეროვნულის გრძნობის ძალ-ღონე. ტყუილად არ ამბობენ პედაგოგები, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა საძირკველია, რომელზედაც ფუძნდება შემდეგი სწავლა-განათლებაო. მართლაც, თუ საძირკველი არ ვარგა, შენობა, რა გინდ კარგი, კოხტა დადგი, ხიპილ-პიპილებით მორთე, მდიდრულად მოაწყე, სიმკვიდრეს ვერ მოუმატებ, შრომა ტყუილად ჩაგივლის; შენობა დაიფუშება და იმასაც დაჰფუშავს, რაც შიგ შეიტანე.

პირველ დაწყებითი სკოლა უნდა აძლევდეს ახალ-თაობას ისეთს აღზრდას, შეძენილს ცოდნას ისეთს ფერსა კიდებდეს, ისეთს გრძნობას ულვიძებდეს რომ შემდეგ თვით მოსწავლემ საშუალო და მაღალ სასწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ-ნმა დავითმა. წინანდლის უშველებელი და მშვენიერად აღშენებული სახლი სავსე იყო ისეთის ძვირფასის ნივთებით, რომელთა შეძენა და ყიდვაც შეუძლებელია. ეს სახლი ბ-ნ დავითის პაპას აეშენებინა და იქ ინახავდა ყველა იმ იშვიათად საშოვნელს ავეჯს, სურათეულობას, ჭურჭლეულობას, ოქროსა და ვერცხლის ნივთეულობას, დიდს წიგნთ-საცავს და სხ., რომელნიც ათი ათას თუმნობით ჰღირდა და რომლებიც მეფეთა ეკატერინესა, პავლესა და ალექსანდრესაგანა ჰქონდა ნაწყალობევი. ცეცხლმაკვე გაანადგურა ის მშვენიერი ხეხილიანი ვენახი, რომელიც რამდენისამე ათის წლის განმავლობაში იყო გაშენებული. მაგრამ დავითის ყველაზედ უმეტესად უფრო ცოლ-შვილის ტყვედ წაყვანა აწუხებდა და ძნელად წარმოიდგენს ადამიანი იმ ათასს ტანჯვასა და წამებას, რომელიც მან რვა თთვეში გამოიარა ცოლ-შვილის ფიქრში.

ამ უბედურებამ ისე დასცა თ. დავითის ოჯახი ძირს, რომ მას შემდეგ ფეხზედ აღარ წამომდგარა. წინანდლის სახლი ველარ განახლდა, იმის მაგიერ ააშენეს ერთ-სართულიანი გრძელი სახლი. მიიღო თუ არა ფლიგელ-ადიუტანტობა, დავითმა სამსახურს თავი დაანება, სოფლად იყო და დღე ყოველ სტუმრობა-მასპინძლობა უფრო აღარიბებდა და ძირს უთხრიდა იმის ისეც დაზიანებულს მამულ-დედულს. ბევრი მოურავი გამოიცვალა, სომხიცა ჰყავდა, რუსიცა და ქართველიც, მაგრამ არც ერთი არ გამოადგა, ყველა თავის ჯიბის გასქელებაში იყო და მამულს-კი კვალს კვალზედ ადებდა. თ. დავითს ზოგიერთს სხვა თავის თანამემამულესავით არა-სავაჭროსის გზით ფულის შეძენის უნარი არა ჰქონდა, საზინის გაქურდვა და ან ფულის მამა-სისხლად გასესხება არ შეეძლო, და ამიტომ უფრო-და-უფრო ძირს ეცემოდა, გუნებითაც მოიშალა, მოეშვა, აღარაფერი აღარ იქცევდა იმის ყურადღებას და თავის ბედს თითქოს დამორჩილდა. მოურავთა ტაცობასა და ქურდობას არად იმჩნევდა, თითქოს ვერა ჰხედავო, მარტო თავის ცოლშვილს დასტრიალებდა და კითხვასა, მუსიკასა და ნადირობაში ართობდა თავს.

## რუსეთი

ლ. ს. პოლიაკოვი სპარსეთის უფროს ელჩად დაინიშნა მოსკოვში.

— საერო განათლების სამინისტრო უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რომ ოდესის უნივერსიტეტში ენტომოლოგიის სწავლება შემოიღონ, რათა სამხრეთ გუბერნიების მცხოვრებლებს მეტი ღონე და შეძლება მიეცეს, ებრძოლონ პირნახულისთვის მავნე მწერებს.

— ესტლანდიის სალიტერატურო საზოგადოება აპირობს, გადმოიტანოს სამშობლო ესტლანდიაში გადაიტანოს ... — ესტლანდიის სალიტერატურო საზოგადოება აპირობს, გადმოსვენებ უ-ლის ვესკეს ძვლები ყაზანიდგან მისს სამშობლო ესტლანდიაში გადაიტანოს და იქ დაასაფლაოს. ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი ვესკე თავმჯდომარედ იყო თავის სამშობლო ესტლანდიის სალიტერატურო საზოგადოებისა, გულ-მხურვალედ ეკიდებოდა ამ საზოგადოების საქმესა და რიგიანად უხელმძღვანელებდა. ამიტომაც მისი თანამემამულენი დიდის პატივით ეპყრობიან ვესკეს სახელსა და ჰსურთ ძვლები აუგონ.

— ამ დღეებში პეტერბურგის საბებიო ინსტიტუტში 6 წლის ყმაწვილი მიუგდიათ. ყმაწვილი საბებიო ინსტიტუტის დერეფანში მჯდარა, ხელში რაღაც ქაღალდი სჭერია და ხმა მაღლა უტირნია.

— რა გქვიან? უკითხავთ გაცეცებულ ბავშვისთვის.

— გრიშა.

— მერე აქ ვინ მოგიყვანა?

— დედაჩემმა!

ხელიდგან ქაღალდი გამოურთმევიათ, წაუკითხავთ, და მეტრიკული მოწმობა ყოფილა. მოწმობაში ერთი სხვა პატარა ბარათიცა დებულა, რომელშიაც ეწერა თურმე: „ღარიბი, შეუძლებელი ვარ, გამოზრდა არ შემიძლიან და გთხოვთ, მიიღოთ და აღზარდოთ“. გამოძიებით შეუტყვიათ, რომ გრიშას მამა, ანტონოვი, მო ამსახურედ ყოფილა რომელღაც სასწავლებელში, მაგრამ რადგანაც ცოლ-ქმარნი საშინლად თურმე ლოთობდნენ, ადგილიდგან დაუთხოვნიათ. პოლიცია გაფაციცებით თურმე ეძებს, მაგრამ ჯერ ვერ უპოვნია ეს შვილის მოსიყვარულე დედმამა.

— ლიდსკის მაზრის დაბა განცევიჩაში ცეცხლი მოჰკიდებია და 140 სახლი გადაბუგულა. ამ ცეცხლის მსხვერპლად 7 კაციც გამხდარა 6 სული, მთელი ოჯახი კაზიმირ ბუპციკისა ერთად დამწვარა ცეცხლში, რადგან დროზე ვერ გაუღვიძნიათ და ცეცხლისთვის ვერ გამოუსწვრიათ. მეშვიდე დამწვარი ებრაელი კლინერმანი ყოფილა.

— სამს ივლისს პეტერბურგის პოლიციას შეუპყრია 97 უბილეთო კაცი, რომელნიც არაფერს საქმეზე არა ყოფილან დამდგარნი. ყველა ამ შეპყრობილთაგანი ეტაპით უნდა გაჰგზავნონ თურმე თავიანთ ქვეყანაში.

— დუბაროვკის მაზრის ერთს სოფელში ფრიად საყურადღებო ცის მოვლენა ყოფილა. მინდორში დაუდევია ერთ გვარი მანანა, და გლეხები იმის ფაფას აკეთებენ და სჭამენ თურმე.

## უცხოეთი

საფრანგეთი. გაბრიელ ბომპარის ქალი და ბ-ნი ეირო, რომელთაც მოჰკლეს გუფე, უკვე შეიპყრო პარიჟის პოლიციამ და ახლა ამათ საქმის გამო გამოძიება სწარმოებს. პარიჟს მიავიწყდა ამ ხანად ყველაფერი და ნაკლებს ყურადღებას-ღა აქცევს სხვა ამბებსა და გარემოებას ცხოვრებისას. სალაპარაკოდ თითქმის მხოლოდ ამ ორის კაცის-მკვლელის საქმე აქვთ გამხდარი. გაზეთებიც, რასაკვირველია, გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს გამოძიებასაც და კაცის-მკვლელებსაც. ვრცლად მოუთხრობენ მკითხველებს, რა შეხედულებისა და თვალტანადობისანი არიან, როგორ უჭირავთ თავი, რას ამბობენ, როგორ ლაპარაკობენ და სხვ. ამ დღეებში გამომძიებელმა წაიყვანა ორივე დამნაშავენი იმ სახლში, სადაც, როგორც ისინი გატყდნენ კიდეც, ჩაიდინეს საზარელი კაცის კვლა. აქ, ამ სახლში, უნდა თვალ-და-თვალ დაგვენახვოთ, როგორ და რა ღონისძიებით მოჰკალით თქვენ გუფეო. კაცის მკვლელნი აქამდე ერთს აზრს არ ადგანან. გაბრიელ ბომპარის ქალი ამბობს, რომ ეირომ მოიტყუა ჩემს სახლში გუფე და მერე დაარჩოვო. მე თითქმის არაფერს შუაში არა ვყოფილვარო. კაცი ეირო-კი ამბობს, რომ მოკლული თვითონვე მიიტყუა თავის სახლში, დასვა სავარძელზე, რომელიც მისთვის იყო განგებ მომზადებული, ჩაუჯდა კალთაში და დაუწყო ალერსი და ხუმრობაო. ხუმრობაში ყელზედ მოახვია თავისი ხელსახოცი, გაჰკვანძა და წვერი მოაბა თოკს, რომელიც სავარძლიდამ ჰახრაკით იყო გადმოტანილი და საწოლის ფარდებში დამალულიო. მე მხოლოდ გავწიე თოკის მეორე წვერს და გუფე ჩამოეკონწიალა თოკზეო. როცა ეს სცენა თვალ-და-თვალ აჩვენეს გამომძიებელს, იქ მაშინ მრავალი სხვა გარეშე კაცნიც დაესწრნენ ცნობის-მოყვარეობის გამო. ამაზე დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა ატყდა გაზეთებში. კინაღამ პალატაშიაც უნდა შეეკითხონ ამ საქმის გამო იუსტიციის მინისტრს: რა უბედურობააო, ამბობენ, ასე საქმის წარმოება და გამოძიებაო. წინდაწინ გამოძიებული არავინ უნდა იცოდეს, საიდუმლოდ უნდა ირჩეოდეს, ვიდრე საქმე არ გაირჩევა სასამართლოშიო, და ჩვენში-კი წინდაწინ გამოძიებული ქვეყანამ იცის. თვით ეირომ, რომელიც ჯერ შეპყრობილი არ იყო, გაზეთებიდამ უკვე კარგად იცოდა, რასაც ამბობდა გაბრიელ ბომპარის ქალი, როცა ჩვენება ჩამოართვესო. ვინ იცის, რა პასუხს მისცემს ამაზე იუსტიციის მინისტრი, თუ მართლა შეეკითხა ვინმე და მოსთხოვა, რომ საჭიროა გამომძიებლები უფრო წესიერად იქცეოდნენ და გამოძიება სათეატრო წარმოდგენად, თამაშად, არა ჰქონდეთ გადაქცეულიო. ამას-კი ამბობენ, რომ ეხლანდელ დროში, როცა გაზეთების ყურ-მახვილობისაგან ვერავის ველარა გამოუპარებია-რა, როცა თვით საზოგადოება თხოულობს გაზეთებისაგან, ყოველივე დაწვრილებით მიამბე, რაც ამბავი იყო გუშინ, ან მოხდა დღესაო, როცა ასე გამრავლდნენ სულის დალევით შემტყობნი ყოველ გვარის ამბისა, ესრედ წოდებულნი რეპორტერები და რომელისამე საინტერესო ცნობის მოსაპოვებლად გველის ხვრელში გაძვრომას შეჩვეული მეგაზეთე—ჟურნალისტი, მაშინ ძნელი-ღაა საიდუმლოებად დარჩეს რამე და ან გამომძიებელმა, ან სხვა ვინმემ გამოაპაროს რამე ამისთანა ახალ ამბების მაძებარ ჯარსაო. ამის გამო ვინც ნაფიც მსაჯულად ინიშნება საქმის გარჩევის დროს, იმან უკვე იცის ყოველივე და შესაძლოა წინადვე გადიწყვიტოს, გულში ბრალი აქვს თუ არა ბრალდებულსაო. ხოლო რაკი საქმე ასეა, რაკი საიდუმლოება გამოძიებისა ვერ დაუფარავთ, მაშინ ტყუილი-ღაა, უსამართლობაც-კი საცოდავის ბრალდებულის ჩაგდება გამომძიებლის ხელში, ისეთის გამომძიებლის ხელში, რომელიც ნებას არ აძლევდეს თავის მსხვერპლს, ან თავის მეგობრებს დაეკითხოს რჩევას, ან ადვოკატს მიჰმართოს, ან ერთი, ან მეორეო. ასე მოწყობილის წინასწარის გამოძიების ბრალია, რომ ხშირად უსამართლობა იჩენს ხოლმე თავს ბრალდებულის განსამართლებაში და სასჯელი გადაეწყვიტება ხოლმე სრულიად უბრალოსა და უდანაშაულო კაცსაო. ასე ფიქრობენ პარლამენტის ზოგიერთნი ჯგუფნი. უბრალო სამართლიანობა მოითხოვს, რომ წინასწარი გამოძიებაც ყველასთვის დაუფარავად სწარმოებდესო, ამბობენ ისინი და, ვინ იცის, თუ მართლა იუსტიციის მინისტრს გამოძიების გამო დაეკითხნენ რასმე პალატაში, ლაპარაკი იმაზედაც გადავიდეს, რომ სრულიად შეიცვალოს ძველი წესი წინასწარის გამოძიებისაო.

## რა გვარად ასწავლიან საფრანგეთის საშუალო სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაში.

გაზ. „Русс. Вѣд.“ ერთ უკანასკნელ ნომერში ფრიად საინტერესო და ამასთანავე საყურადღებო ცნობები წაიკითხეთ იმის შესახებ, თუ როგორ ასწავლიან საფრანგეთის გიმნაზიის მოსამზადებელ განყოფილებაში. ეს განყოფილება სამ კლასად არის განაწილებული. უმცროსს კლასში რვა წლის შეგირდებს იღებენ უგამოცდოდ. ამის გამო ღარიბ მშობლებს დიდი შეღავათი ეძლევათ, რადგან შვილების მომზადება აღარა სჭირდებათ. სამსავე მოსამზადებელ კლასს შეგირდი თერთმეტის წლისა ათავებს.

მოსამზადებელ კლასში მკვდ ენებს არ

---

ელში ეს ცოდნა, აზრად ქცეული, ელში დროზედ დაიჭიროს. ჩვენი ... ლები ჩვენს შვილებსა და ძმებს ... ამზადებენ ამ საჭირო გრძნობისა ... აზრისათვის, ვერ ამზადებენ ღირსეულს კაცებს და ამით აზარალებენ ... საზოგადოებას, შემდეგ ერსა და ... ქვეყანას. ათავებენ რა საშუალო სასწავლებელს მომავალნი მუშაკნი ... ქვეყნისა, მიიზიდებიან მაღალის სწავლის მისაღებად. ძალიან კარგი ... პატიოსანი. ახლა ის ვიკითხოთ, 20—25 წლის ახალგაზრდას აქვს ... სხვა აზრი, გარდა დიპლომის ... ღებისა, როცა მიდის სწავლის დამთავრებლად? არა, იქნება შენ მი... სუხო: აზრი იქ უნდა შეიმუშაოსო. ... და კიდევ არა. აზრი აქედამვე უნდა ჰყვებოდეს ახალგაზრდას, იქ მხოლოდ ... რაღი უნდა შეიძინოს მის განხორციელებისა. თავის ქვეყნის სიყვარული გულის საქმეა და, ვიდრე ნორჩია ... გული, მანამდე უნდა განიმსჭვალოს ამ სიყვარულით, თორემ მერე, როცა გაითელება და გაიმურება, ვეღარ მაღალს გრძნობას ველარ აღბეჭდავს. უაზროდ წაბრძანებული ჭაბუკი უაზროდ დაგვიბრუნდება, მხოლოდ თან მოიყოლებს წკრიალა ფრაზებს და ლამაზს სიტყვებს, უძირ-უფესვოს.

რადგანაც დღეს სკოლა ვერ გვიზრდის ღირსეულს შვილებს, ვერ ასწავლის იმას, რაც საჭიროა, ვერ უღვიძებს იმ გრძნობებს, რაც გამოსადეგია, ამიტომ ჩვენი იმედი ისევ ოჯახში უნდა დავამყაროთ.

რა ქმნას ბავშვმა? შინა და გარეთ სულ უცხო საუბარი ესმის, უცხო ჩვეულება, ერთხელ არ გაუგონია თავის მშობლებისაგან ალტაცებული საუბარი თავის ქვეყანაზე, სამშობლო ისტორიაზე, სამშობლოს გამოჩენილს სახელოვანს კაცებზე. ნაცვლად ამ ნოყიერის საზრდოს მიმცე—მის საუბრისა, მას ესმის და ხედავს ფუქსავატობას. ბავშვის გული სარკეა, რაც ჩაიხედავს, ის გამოჩნდება, ის ჩაგვეხატება. აბა, ამისთანა ოჯახში აღზრდილი და შემდეგ სკოლაში გაგზავნილი ბავშვი რა გრძნობისა და აზრის პატრონი იქნება, შენ მიბძანე!! აი ამისთანა ოჯახები გვიზრდიან და გვიმრავლებენ მიტროფანუშკებს.

დიაღ, ჩვენი ოჯახი გადაბირდა, გადაბირდა მისი დიასახლისი, გადაბირდა მამა ოჯახისა და იმათი შემაცქერალნი შვილნიც გადაბირდნენ. ძველს ჩვენს ოჯახს ესმოდა თავის ვინაობა, თავის არსებობა, ჰქონდა აზრი, იცოდა, რისთვისაც ზრდიდა შვილებს და როგორც უნდა აღეზარდა, ხოლო ახალმა ოჯახმა დაჰკარგა ეს აზრი და აი დღეს რამდენი ქაღალდი და მელანი იხარჯება იმის აღსადგენად, რაც ძველად თავისთავად, ბუნებითად განხორციელებული იყო და ყველას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი.

პირველი აღზრდა ოჯახიდგან იწყობა, იმას სკოლაზე მეტი მნიშვნელობა აქვს; იგი სთესავს თესლს ყმაწვილის გულში, ხოლო სკოლა ჰფარცხავს, ჰმარგლის ამოსულს თესლს, ჰმკის, ლეწავს და ანიავებს. მაგრამ განა ლვარძლი არ მოიმკება, არ გაილეწება და არ დანიავდება?! ჩვენი ოჯახი დღეს დუქანს დაჰმსგავსებია, იმას მხოლოდ „ანგარიში“, „ხეირი“, უხეიროდ გავებული, ალონებს და აწუხებს. მოვალეობა, მოქალაქობრივი გრძნობა ჩვარში გახვეულ ნაგვისათვის გადაუტანებია, შვილებს მხოლოდ იმიტომ ზრდის, რომ სამსახურში შევიდნენ, კაი ჯამაგირი მიიღონ, ზილ-პილებით დაიმშვენონ შუბლი და მხარ-მკერდი, იმას როდი დაგიდევენ, შიგ რა ჰყრია ამ ახალგაზრდაში, აქვს რამ კაცობის ნიშან-წყალი, ეტყობა რამ ისეთი, რომ, ვსთქვათ, უცხოელმა კაცმა ნახოს, გაიცნოს ეს ახალგაზრდა ჩვენის ქვეყნისა და სთქვას: მართლა ქართველი კაცი ყოფილაო? არა მგონია. შენს მტერს ის სიტყვა, რასაც უცხოელი იმაზე იტყვის, თუ-კი ძირეულად, კარგა გაიცნო. ამისი არაფერი გაიგება, როგორც იმ დუქნისავე ხუთ გირვანქიანისა, რომლითაც, რაც გინდა, იმას აწონ, თუნდ ლობიოს, თუნდ ხურმას, თუნდ ფეტვს, თუნდ კომბოსტოს. მაგრამ ის ხუთ-გირვანქიანი ბედნიერი საგანია, რადგანაც ხუთ-გირვანქიანი ჰქვიან, ხოლო ამ ჩვენს ვაჟ-ბატონს, არ ვიცით, რა და ვარქვათ! თითონ თავის-თავს-კი კაცს ეძახის და საბუთიცა აქვს ამისა, რადგან მისივე მშობლები კაცს ეძახიან თავის შვილსა და მეტრიკის წიგნშიაც არის მოხსენებული დაბადებულად, ისიც სხვებთან სათვალავში ურევია. ესეა, ჩემო ექვთიმე, მოკლედ რომ გითხრა, ჩვენის აღზრდისა და ჩვენის ოჯახის საქმე. ჩვენებს ვერ შეუგნიათ, რომ ოჯახია თავი და თავი საფუძველი, საძირკველი ერისა და სახელმწიფოს ყოფამდგომარეობისა. ვერ შეუგნიათ, რომ თუ ოჯახი წახდა, მაშინ სკოლაც წამხდარია, უძლური, ძალ-ღონე გამოლეული. გონივრულად მოწყობილს ოჯახს შეუძლიან ვნება სკოლისა გაანბათილოს, მაგრამ სკოლაკი უძლურია ამ მხრით, იგი ვერას უშველის ოჯახისაგან გაფუჭებულს ახალგაზრდას, მით უმეტეს ეხლანდელი სკოლა, სადაც ათასნაირი სხვა დასხვა ხასიათის აბლაბუდა და ქსელია გახლართული და გაბმულ-გამობმული და, ტუჩგენევისა არ იყოს, კიდევ ... ისმის ამ გვარი კითხვა-პასუხი: „Темна вода въ облацѣхъ?“ და „Сія не обт... кимо“-ვო.

შენი ერთგული მაშუკა

ასწავლიან, არამედ მხოლოდ იმას, რაც უმაწვილებისათვის უფრო საინტერესო და საადვილოა: დედა-ენას, ე. ი. ფრანგულს, და ერთს რომელსამე უცხო ენას, ან ინგლისურსა და ან გერმანულს, ისტორიას, გეოგრაფიას, გამოსადეგ საგნებს, არითმეტიკასა და ხაზვა-ხატვას.

რაც შეეხება დედა ენას, სცდილობენ, იმდენად ასწავლონ ეს საგანი, რომ მართლ-წერა და წესიერი ლაპარაკი შეეძლოთ. შეგირდები სხვა-და-სხვა წერილსა, ჰკითხულობენ და შემდეგ წაკითხული მასწავლებელს უნდა უამბონ. ასწავლიან აგრეთვე იმასაც, თუ სხვა-და-სხვა აზრი როგორ უნდა გამოითქვას. ამასთანავე რასაც იტყვიან, იმას მაშინვე სწერენ. გრამატიკას დიდს ყურადღებას არ აქცევენ და მხოლოდ იმას განუმარტავენ ხოლმე მოწაფეთა, რაც მართლ-წერისათვის აუცილებლად საჭიროა. ამასთანავე მასწავლებელი იმას უნდა ეცადოს, რომ თვით შეგირდებმა დაინახონ და შენიშნონ სიტყვიერების წესი და კანონი. თუმცა ბავშვი თავის თავს არც-კი ეკითხება, რომელი სიტყვა რომელს და როგორ მოსდევს, მაგრამ მაინც ისე ლაპარაკობს, როგორც საზოგადოდ სხვები და, მაშასადამე, რომელსამე წესსა და რიგს ემორჩილება. და აი, მასწავლებელიც მხოლოდ იმასა სცდილობს, რომ ამ წესსა და რიგს შეგირდმა თითონვე მიაქციოს ყურადღება და თავის თავს თითონ მისცეს ანგარიში, ასე რადა ვლაპარაკობ ხოლმე და არა ისეო. თუთიყუშსავით-კი გრამმატიკის „კანონებს“ არ აზეპირებინებენ.

უცხო ენის სწავლება დედა-ენაზეა დამყარებული. უმაწვილი რაკი იმას შეითვისებს, ჩემი ენა რა წესს ემორჩილებაო, სხვა ენას დედა-ენის შედარებით ასწავლიან. ჯერ, მაგ., ფრანგულად ათქმევინებენ რასმე და მერე იმავე აზრს უცხო ენაზე ეტყვიან. რასაკვირველია, რომ უმაწვილს ნათლად წარმოუდგება და დაახსომდება მათ შორის მსგავსება და განსხვავება. უცხო ენის შესწავლის დროს წერასაც დიდს ყურადღებას აქცევენ, ესე იგი, ცალ-მხრივ ფრანგულად აწერინებენ და მეორე მხრივ უცხო ენაზე ფრანგულის თარგმანს.

ისტორიის სწავლა კიდევ უფრო ხელს უწყობს დედა-ენის შესწავლას. პირველ კლასში მასწავლებელი შეგირდებს მოუყვება ხოლმე რომელისამე გამოჩენილის ისტორიულ მოღვაწის ცხოვრების ამბავს და შემდეგ შეგირდებს ამეორებინებს. დანარჩენს ორ კლასში საფრანგეთის ისტორიას ასწავლიან მოკლედ, ხრონოლოგიურის თანდათანობით. მაგრამ აქაც კიდევ ყოველთვის ჯერ მასწავლებელი ილაპარაკებს ხოლმე და მერე იმასვე შეგირდები იმეორებენ, ასე რომ შეგირდები უფრო-ხშირად კლასშივე სწავლობენ, კლას გარედ არც-ერთი გაკვეთილი არ ეძლევათ.

გეოგრაფიას ამ გვარად ასწავლიან: ჯერ თვით თავის ქვეყნის ცხოვრებასა და თვისებას გააცნობს ხოლმე მასწავლებელი და მხოლოდ შემდეგ მოუყვება სხვა-და-სხვა ქვეყნის ამბავს. მაგრამ არც ერთს ქვეყანას არ დაასახელებს, რომ რამე საინტერესო ცნობა არ მოიხსენიოს და უმაწვილებს ცნობის მოყვარეობა არ განუცხოველოს. ამასთანავე შეგირდებს იმ ქვეყნების ვითარების გასაცნობად, რომლის ამბავიც კლასში გაიგონეს, პატარ-პატარა წიგნაკები ურიგდებათ. ამ გვარად სამის წლის განმავლობაში შეგირდები მოკლედ მთელს დედამიწას შეისწავლიან ხოლმე, მაგრამ თუთიყუშივით-კია არა, საფუძვლიანად: შეგირდმა იცის, სად როგორი ხალხი სცხოვრობს, რასა სჭამს და სხ., იცის, საზოგადოდ, სად როგორი შესანიშნავი ცხოველი იმყოფება ანუ მცენარე. რომელისამე ხალხისა, ცხოველისა და მცენარის სახელი რომ უბრალო ხმად არ დარჩეს ბავშვის ხსოვნაში და რომ ბავშვს ცოტაოდნად მაინც შეეძლოს წარმოიდგინოს, თუ ვინა და რანი არიან ეს უცხო ცხოველ-მცენარენი, კლასში ნიმუშებია ყოველ გვარის გვარისა, ცხოველისა და მცენარისა, არის აგრეთვე მრავალი სურათი და სხ.

სასარგებლო ცოდნას კიდევ უფრო თვალ საჩინოდ სძენენ ბავშვებს. რაც რამე სასარგებლო ნაწარმოებია, ნახშირი, ანუ სხვა-და-სხვა ლითონი, სხვა-და-სხვა მარილეული და მყავეული, ათას გვარი მიწა, ყველაფერი თვით მოსწავლემ უნდა ნახოს, გასინჯოს და ისე შეისწავლოს. გარდა ამისა ექსკურსიები არის ხოლმე ხშირად დანიშნული, რომლის დროსაც უმაწვილები თავის სოფლის ნიადაგს, მცენარეობასა და ცხოველების ცხოვრებას იკვლევენ და სწავლობენ. რასაკვირველია, რომ ამგვარი ცოდნა შეგირდს კიდევ უფრო უადვილებს სხვა ქვეყნების შესწავლას, რადგანაც ბუნება თითქმის ყველგან ერთი და იგივეა, ყველაფერს ყველგან ერთმანეთის მსგავსადა ჰქმნის და ერთი ქვეყანა მეორისაგან დიდით არაფრით განსხვავდება. ამიტომ უმაწვილს რა კი რომელისამე მიწის ნიადაგი და სხვა თვისება გაცნობილი და დათვალიერებული ექნება, შედარებით სხვა ქვეყნის თვისებაც ადვილად შეეძლება წარმოიდგინოს და კითხვითა და გაგონებით შეისწავლოს.

ამ საგნებს გარდა ხაზვა-ხატვასაც დიდ ყურადღებას აქცევენ და ეს საგანიც სავალდებულოა.

როგორც მკითხველი ჰხედავს, საფრანგეთის უმაწვილების განათლების საქმეს სამირკვლად ორი რამ უდევს: 1) უმაწვილს სახლში გაკვეთილები არ ამლიონ, ყველაფერი კლასში ასწავლონ და იქაც კიდევ არაფრით მოაწყინონ თავი, არ შეაწუხონ და არ დაღალონ, რომ მისი ნორჩი და სუსტი გონება და სხეული არ მოიქანცოს და არ დაუძლურდეს და 2) შეგირდმა გაუგებრად, თუთიყუშსავით, არ უნდა დაიზეპიროს-რა და ყველაფერი თითონ უნდა ნახოს, თითონ გასინჯოს და დაათვალიეროს, რომ ამითი მისი ცნობის-მოყვარეობა განძლიერდეს და მსჯელობა განმტკიცდეს.

ვ. წ.

---

# დეპეშა

10 ივლისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია: 1) სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება, თუ რა ღონით უნდა გაადვილდეს თუთუნის წარმოების საქმე და თუთუნის საწყობებისა, თუთუნის ფოთლისა და პრესში გატარებულ მახორკის გაყიდვისა და იმის შესახებ, თუ რა უნდა გადაჰხდეს ამ წესების დამრღვეველს და 2) საქონლის საწყობებისა, ზღვევისა, გაგზავნისა და სესხის გაცემის საზოგადოების წესდება. ამ საზოგადოების დამაარსებელნი არიან. თავ. ნ. ს. ჩერბატოვი, ს. ტ. და დ. ი. მოროზოვები, პოლკოვნიკი დუკმასოვი, პ. ი. გუჩკოვი და ნოტარიუსი ბობორიკინი.

დამშეულ ჩერნოგორელებს უწმინდესის სინოდისაგან 1 ივლისს 262,885 მან. გაეგზავნათ.

სამხედრო უწყების წარმომადგენლებს ახალი პროგრამმა ტაქტიკისა გაეგზავნათ ქვეითა იუნკერთა სასწავლებელთათვის.

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს სიზოგადო საქმეთა დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ზოლოტნიცკი გულის სიდამბლით გარდაიცვალა.

გაზეთები იუწყებიან, რომ საბირჟო კომიტეტების ახალი წესდება მალე იქმნება დამტკიცებულიო.

„С.-Пб. Вѣд“ ამბობს, რომ სცდილობენ ჩვენი ვაჭრობა მონგოლიასთან უფრო განავრცელონო. ამ ქვეყანაში ახლაც დიდ-ძალი საქონელი მიდის რუსეთიდგანაო, მაგ., ტყავი, მაუდი, რკინაო.

ბელგრადი. დედოფლის ნატალიას შუამდგომლობით არქიელთა კრებამ, მიტროპოლიტის თავმჯდომარეობით, განიხილა რა დედოფლისა და მეფის განქორწინების საქმე, განქორწინება უკანონოდ იცნო და ამ გარდაწყვეტილების საბუთი დედოფალს გარდასცა. მილანი თითონ მივიდა მიტროპოლიტთან და, ცხარე ლაპარაკს შემდეგ, მარტო იმას ჩამოართვა ხელწერილი და პირობა დაადებინა, რომ ხელ-მეორედ ნუღარ იქნება გასინჯული განქორწინების საქმე თვით-არსებითაო.

ვენა. დედოფალი ნატალია მალე რუსეთში გაემგზავრება.

პეტერბურგი. გამოცხადებულია სახელმწიფო საბჭოს აზრი, რომ ექვსი სამრეწველო სასწავლებელი უნდა დაარსდესო: ყაზანსა, ეკატერინოსლავსა, პეტროზავოდსკსა, ზლატოუსტსა, პავლოვსა და კლინცახს.

პეტერბურგის ბირჟა, 10 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6 77 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 135¹/₄ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | 1 12¹/₄ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 227 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 216¹/₂ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | 212³/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — „ | — „ | 100, 62 |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | 99³/₄ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | 90 „ | — „ | — „ |

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

სილამაზე და სინაზე სახისა

არიის კრემი

კოსმეტიკა ა. ენგლუნდისა

ეს საშუალება სპობს ჭორფლს, პირის სიყვითლესა და ლაქას, მუწუკს, ჭმუხვნს, ლუდლუდოს და სხ. პირი-სახეს ულამაზებს და უჭაბუკებს ადამიანს. თითო ბანკა ღირს 1 მან., გაგზავნით 2 მან., ორი ბანკა გაგზავნით 3 მან.

სიყალბის ასაცილებლად მყიდველებს ვთხოვთ ყოველს ბანკაზედ გასინჯოს, რომ ეტიკეტს წითელის მელნით ჰქონდეს ხელ-მოწერილი ა. ენგლუნდი და ზედ მარკა ეკრას სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიისა. უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზედ, 32. (5—2)

მიხ. ალ. ნასიძე

გადაიდა ელისაბედის ქუჩაზედ, კუკიაში, ბერიევის სახლებში, № 100. იყვანს კულანდებულად მოწაფეთ მოსამზადებლად საშუალო და საქალაქო სასწავლებლების პირველ კლასისთვის. (15—15)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

ბარბარე იოსების ასული ბერიძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ იქნება გარდახდილი წლის წირვა განსვენებულისა დისა მისისა მარიამ იოსების ასულის გარსევანოვისა ქ. გორს 14 ივლისს ოქონის ეკკლესიაში დილის 10 საათზედ.




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბერლინში

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური სანიავებელი, გორვლის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხვი, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—35)

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმოდ:

ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს. (50—26)

Дозв. ценз. Тифлисъ. 11-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева в С. А. Полетаева уголъ Бароновской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე